

თჰუ
სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი №1

თბილისი

16 თებერვალი 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფ. კახი ყურაშვილი, პროფ. თამარ ჩიტოშვილი, პროფ. არჩილ ლორია, პროფ. ლელა ნადიბაიძე, პროფ. ევა ზარნაძე, ასოც. პროფ. დავით გეფერიძე, ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე, ასოც. პროფ. თამარ ლალიაშვილი, უფრ. მასწ. ლალი ფაფიაშვილი, უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე, უფრ. მასწ. მაცვალა კახაძე

სხდომის თავჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულ ნინო მთვარაძისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);

მოისმინეს:

თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2012–2013 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის დასასრულს ნინო მთვარაძემ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკმარისი კრედიტები (240 ECTS) მოაგროვა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის უფლება მოიპოვა; მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ 2013 წლის 16 თებერვალს დანიშნული იყო საბაკალავრო ნაშრომების პრეზენტაცია და დაცვა, სადაც სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიამ (პროფ. კახი ყურაშვილი, პროფ. თამარ ჩიტოშვილი, უფრ. მასწ. მ. კახაძე) ჩათვალა, წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომი შესრულებული იყო მოთხოვნის დონეზე და კომისიის მიერ წარმოდგენილი უწყისის მიხედვით ნ. მთვარაძის შეფასება იყო 75 /C „კარგი“/;

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. მთვარაძეს უნდა მიენიჭოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რისთვისაც საჭიროა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების მიღება.

აზრი გამოთქვას: პროფ. თ. ჩიტოშვილმა და ასოც. პროფ. მ. ხვედელიძემ.

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თჰუ სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ნინო მთვარაძეს.
2. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

სხდომის მდივანი: *ე. იჩეძე*



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე